



შენაბავისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ 07 “ 05 ----- “ 2018 წელი

N 30/36 ეგზ: 1

“ვაგბედიშვილი“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
ფრიდონ შენგელია

ფ. შენგელია

ქართული ფეხბურთის
განვითარებისათვის 2015, 2016 წლებსა
და 2017 წლის 9 თვეში გამოყოფილი
საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სარჩევი

შემოკლებები.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	4
რეკომენდაციები.....	5
შესავალი.....	6
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	6
აუდიტის საგანი.....	6
აუდიტის მასშტაბი	7
გამოყენებული კრიტერიუმები	7
აუდიტის მიზანი	8
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ	8
აუდიტის მიგნებები:	13
1. ფეხბურთის ფედერაცია.....	13
1.1 21 წლამდე ფეხბურთელთა 2015-2017 წლების ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის დაფინანსება.....	13
1.2 სატრანსპორტო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები.....	16
1.3 ფეხბურთის ფედერაციის მიმართ რიცხული მოთხოვნები.....	17
2. ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი:	18
2.1 ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის და ბიუჯეტის შედგენა-შესრულების ხარვეზები.....	18
2.2 ფონდსა და საფეხბურთო კლუბებს შორის პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ხარვეზები	20
2.3 ფონდის ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურების შეუსაბამობები.....	20
დანართი: კლუბების საბაზისო, საპრიზო - პრემიალური და ფინანსური სტიმულირების დაფინანსებისთვის ფონდის გამგეობის მიერ დადგენილი ნორმები	22

შემოკლებები

-) საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო - **სამინისტრო**;
-) საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო - **სამინისტრო**;
-) საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია - **ფეხბურთის ფედერაცია**;
-) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი - **ა(ა)იპ - ფონდი**;
-) მუნიციპალიტეტები, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - **მუნიციპალიტეტები**.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის 2015, 2016 და 2017 წლის 9 თვეში გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი. შედეგად გამოვლინდა:

- 1) **21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატი:** უეფას რეგულაციებით, 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ნაკრების საკვალიფიკაციო გასვლით მატჩებში - მგზავრობის, კვებისა და დაბინავების ხარჯების ასანაზღაურებლად, უეფადან გამოყოფილი თანხიდან - 135,000 ევროდან, ფეხბურთის ფედერაციას უნდა დაეფინანსებინა ხუთი გასვლითი მატჩის - მგზავრობის, კვებისა და დაბინავების ხარჯები. ფაქტობრივად, ამ მიზნობრივობით, ერთ გასვლით მატჩში დაიხარჯა ფეხბურთის ფედერაციის 82,809 ლარი, ხოლო ოთხ გასვლით მატჩში - სამინისტროდან ფედერაციაში გადარიცხული საბიუჯეტო სახსრები - 332,320 ლარის ოდენობით. უეფას მიერ გამოყოფილი 135,000 ევრო (357,545 ლარი) გამოყენებულ იქნა ფეხბურთის ფედერაციაზე უეფას მიმართ რიცხული ძველი ვალების დასაფარად. გამომდინარე იქიდან, რომ დაფინანსების პირდაპირი წყარო არსებობდა და იმის გათვალისწინებით, რომ უეფადან გამოყოფილი თანხა არ იყო საკმარისი ხუთივე გასვლითი მატჩის დასაფინანსებლად (სხვაობა - 57,584 ლარი), ფეხბურთის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესაძლოა დაფინანსებულიყო მხოლოდ 57,584 ლარი. შესაბამისად, გამოყოფილი 332,320 ლარიდან ბიუჯეტში დაბრუნებას ექვემდებარება - 274,736 ლარი;
- 2) **ფეხბურთის ფედერაციაზე რიცხული დებიტორული დავალიანება:** სამინისტროს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ ერიცხება დებიტორული დავალიანება **234,535 ლარის** ოდენობით, რომელიც გამოვლენილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტებით, ასევე აღიარებული და დადასტურებულია ფეხბურთის ფედერაციის მიერ. სამინისტროს არ გაუტარებია ქმედითი ღონისძიებები აღნიშნული დებიტორული დავალიანების ბიუჯეტში დასაბრუნებლად;
- 3) **ფეხბურთის განვითარების ფონდის ბიუჯეტის შედგენა - შესრულება:** ფონდის 2016 წლის პროგრამით გათვალისწინებული ხარჯები 40,200,000 ლარის ოდენობით, დამტკიცდა რეალური შემოსავლების გათვალისწინებლად. მობილიზებულ იქნა მხოლოდ 26,310,282 ლარი. შესაბამისად, ვერ შესრულდა პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების ხარჯები, რის გამოც გათვალისწინებული ხარჯების ნაწილობრივი დაფარვის მიზნით, 2016 წლის 30 დეკემბერს კომერციული ბანკიდან აღებულ იქნა სესხი - 2,000,000 ლარის ოდენობით. სესხის ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტი დაიფარა 2017 წლის 9 იანვარს. საკომისიომ და პროცენტმა შეადგინა 9,479 ლარი, რაც სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული არ ყოფილა;
- 4) **შრომის ანაზღაურება:** ფონდში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებული თანამშრომლების საშუალო თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 3,000 ლარს, რაც 2-ჯერ აღემატება კანონით განსაზღვრულს. ამასთანავე, ფონდის დირექტორის თვიური თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 6,250 ლარს, მაშინ როდესაც, ის არ უნდა აღემატებოდეს მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობრივ სარგოს - 2,950 ლარს. შედეგად, ბუჯეტიდან კანონთან შეუსაბამოდ, სულ გაწეულია 135,250 ლარის ხარჯი.

რეკომენდაციები

1. სამინისტრომ ფეხბურთის ფედერაციის მიმართ მოთხოვნად აღიაროს 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ნაკრების საკვალიფიკაციო შეჯიბრებებში გასვლით მატჩებში მგზავრობის, კვებისა და დაბინავების ხარჯების ასანაზღაურებლად ბიუჯეტიდან გადახდილი 274,736 ლარი და უზრუნველყოს მისი ბიუჯეტში დაბრუნება.
2. სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სპორტული ღონისძიების დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ ინფორმირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას. ასევე შეიმუშაოს ფორმალიზებული პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს ყველა რელევანტური ინფორმაციის და დოკუმენტაციის, მათ შორის, დაფინანსების არსებული და ალტერნატიული წყაროების, დეტალურ მოკვლევას.
3. სამინისტრომ ფედერაციასთან შეთანხმებით შეიმუშაოს შესყიდვების განხორციელების წესი, რაც უზრუნველყოფს ფეხბურთის ფედერაციის მიერ სამინისტროსაგან მიღებული საბიუჯეტო სახსრების განკარგვას კონკურენტულ გარემოში, გამჭვირვალედ ისე, რომ დაცულ იქნეს ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის პრინციპები.
4. სამინისტრომ დებიტორული დავალიანებების ამოსაღებად და თანხების ბიუჯეტში დასაბრუნებლად გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება.
5. სამინისტრომ, ფონდის გამგეობამ და ფონდმა შეიმუშაოს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების მართვისთვის სრულყოფილი ნორმატიული ბაზა, სადაც მითითებული იქნება შრომის ანაზღაურების და ფეხბურთის განვითარებაზე მიმართული ზღვრული ხარჯები. ეს ფონდს საშუალებას მისცემს, უფრო ეფექტიანად მართოს და კონტროლი გაუწიოს ფეხბურთის განვითარებისათვის გამოყოფილ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას.
6. სამინისტრომ, დეტალურად შეისწავლოს ფონდის ადმინისტრაციაზე გაცემული შრომის ანაზღაურების „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონთან შეუსაბამობის საკითხები და იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

შესავალი

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს და ფონდის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი წარმოადგენს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რათა მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა ფეხბურთის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიმართულებით სამინისტროს და ფონდის საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობას.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოებები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენ მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა: ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდი.

გამოყენებული კრიტერიუმები

- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ სპორტის სფეროში განსახორციელებელი პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2015 წლის 6 თებერვლის N01/139 ბრძანებით დამტკიცებული „2015 წლის ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა“;
- „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ სპორტის სფეროში განსახორციელებელი პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2016 წლის 20 იანვრის N01/83 ბრძანებით დამტკიცებული „2016 წლის ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა“;
- „2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ სპორტის სფეროში განსახორციელებელი პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2017 წლის 27 იანვრის N01/137 ბრძანებით დამტკიცებული „2017 წლის ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა“;
- „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანება;
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დებულება;
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- „საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წლები) სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N107 დადგენილება;
- „საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წლები) სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N107 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს

მთავრობის 2017 წლის 1 ივნისის N268 დადგენილება „საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2021 წლები) სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“;

- ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის წესდება;
- ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობის სხდომის ოქმები;
- ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდსა და საფეხბურთო კლუბებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

-) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
-) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება - მიგნებების, დასკვნების და საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ

აუდიტის ობიექტს წარმოადგენდა:

- ❖ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაზე, ფეხბურთის განვითარებისთვის გადარიცხული და დახარჯული საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში;
- ❖ ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი.

სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

- სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაცია;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების სფეროებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი გატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება; სათანადო პირობების შექმნა, ზოგადად, სპორტის და სპორტის სახეობათა ტრადიციების შენარჩუნების, დაცვისა და განვითარებისათვის;
- სპორტულ ასოციაციებთან, კავშირებთან, სპორტულ საზოგადოებებთან, ფედერაციებსა და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა, მათი საქმიანობის ხელშეწყობა;
- დადგენილი წესით მოქმედი საკანონმდებლო ბაზის დასახვეწად თავისი გამგებლობის სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება;

- კანონით დადგენილი წესით სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების განაწილება;
- ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის პროგრამების მომზადება და ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის დაფინანსება.

ა(ა)იპ – ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიზნები და ამოცანები:

- ფეხბურთის კლუბებისთვის მდგრადი ფინანსური საფუძვლების შექმნა, კლუბების საბაზისო, ფინანსური სტიმულირების, საპრიზო და პრემიალური დაფინანსება;
- საფეხბურთო განათლების ხელშეწყობა, ფეხბურთის მენეჯერების, მწვრთნელებისა და მსაჯების კვალიფიკაციის დონის ამაღლება;
- ბავშვთა ფეხბურთის განვითარება, ფეხბურთის მასობრიობის გაზრდა;
- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწყობისა და არსებულის აღდგენა/რეაბილიტაციის ხელშეწყობა;
- ფეხბურთში თანამედროვე ტექნოლოგიების, სადაზღვევო და სამედიცინო მომსახურების დანერგვის ხელშეწყობა;
- ქალთა და ბავშვთა ფეხბურთის, ფუტსალის განვითარებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ხელშეწყობა;
- ფონდი ზედამხედველობას უწევს პროგრამების, პროექტების და ღონისძიებებისთვის გამოყოფილი ფინანსური სახსრების ხარჯვას - განმახორციელებელი ერთეულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე;
- ფონდი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან.


ქართული ფეხბურთის განვითარების დაფინანსება 2015 წელს ხორციელდებოდა მხოლოდ სამინისტროდან ფეხბურთის ფედერაციაზე ცენტრალური ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხებით, ხოლო 2016 წელს და 2017 წლის 9 თვეში - როგორც სამინისტროდან ფეხბურთის ფედერაციაზე, ასევე ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდზე გადარიცხული ცენტრალური ბიუჯეტის თანხებით და მუნიციპალიტეტების - ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გადარიცხული თანხებით.

იხ. დაფინანსების სქემა:


2015 წელი



2016 წელი



2017 წელი



როგორც სქემიდან ჩანს, ფეხბურთის განვითარებისათვის თანხების ხარჯვა ხორციელდებოდა როგორც ფეხბურთის ფედერაციის, ასევე ა(ა)იპ - ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ.

ფეხბურთის განვითარებისათვის გაწეული ხარჯები მოცემულია ცხრილებში.

ფეხბურთის ფედერაცია:

ცხრილი N1.

	(ლარი)					
	2015 წელი	%	2016 წელი	%	2017 წლის 9 თვე	%
ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა (კოდი: 390201)						
შეკრებები და მატჩები	3,305,104	47	2,716,797	39	2,111,292	45
ნაკრების მწვრთნელების ხელფასი	2,137,279	30	2,561,438	37	2,081,750	44
მსაჯების ხელფასი	962,467	14	949,990	14	554,400	11
ეროვნული ჩემპიონატის საპრიზო ფონდი	600,000	9	600,000	9	-	-
სხვა ღონისძიებები	82,376	1	11,775	0	-	-
ჯამი:	7,079,405	1	6,840,000	9	4,747,442	1
ახალგაზრდული პოლიტიკის პროგრამიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის ფეხბურთის სწავლება (კოდი: 390401)						
	-	-	55,660	1	-	-
სულ ჯამი:	7,079,405	1	6,895,660	1	4,747,442	1

ა(ა)იპ - ფეხბურთის განვითარების ფონდი:

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N107 დადგენილებით დამტკიცდა ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წლები) სახელმწიფო პროგრამა 265,700,000 ლარის ოდენობით. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 ივნისის N268 დადგენილებით ცვლილებები შევიდა 2016 წლის 26 თებერვლის N107 მთავრობის დადგენილებაში. ცვლილებების თანახმად, შეიცვალა როგორც პროგრამის განხორციელების პერიოდი, ისე თანხები. კერძოდ: 2016-2021 წლებში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო თანხა განისაზღვრა 211,126,949 ლარის ოდენობით.

ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები და მისი ფაქტობრივი შესრულება წარმოდგენილია ცხრილში:

ცხრილი N2.

(ლარი)

პრიორიტეტები	2016 წ.				2017 წ.		
	პირველი პროგრამით	პროგრამის ცვლილები თ	ფაქტობ რივად ¹	მ.შ. სესხიდან დაფარულ ი ხარჯები	პირველადი პროგრამით	პროგრამის ცვლილებით	ფაქტობრივ დ 2017 წლის 9 თვე
ადმინისტრაციის ² ხარჯები	-	-	159,153		-	-	161,041
კლუბების საბაზისო დაფინანსება	35,400,000	24,671,014	25,466,014	795,000	24,000,000	24,798,768	20,731,798
კლუბების ფინანსური სტიმულირება	1,900,000	1,295,000	1,900,000	605,000	9,000,000	3,448,388	2,468,367
კლუბების საპრიზო და პრემ. ფონდი	1,350,000	150,000	750,000	600,000	10,000,000	6,752,844	2,980,400
მასობრივი და სხვა საფეხბურთო ლონისმიერები	1,550,000	10,935	10,935		2,750,000	2,000,000	171,551
ინფრასტრუქტურის მოწესრიგება					7,500,000		
ბანკის სესხი							2,000,000
სესხის %							9,479
ჯამი:	40,200,000	26,126,949	28,286,102	2,000,000	53,250,000	37,000,000	28,522,636

ფონდის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კლუბების საბაზისო დაფინანსების 73.5% დახაჯულია ფეხბურთელების, მწვრთნელებისა და კლუბების ადმინისტრაციის ხელფასებზე.

¹ ფაქტობრივ ხარჯებში აგრეთვე შედის ადმინისტრაციის ხარჯები - 159,153 ლარი და ბანკიდან აღებული - 2,000,000 ლარის სესხიდან განხორციელებული ერთმანეთისგან განსხვავებული - „პროგრამის ცვლილებით“ და „ფაქტობრივი“ ხარჯები.

² ფონდის ადმინისტრაციის ხარჯები საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული არ არის.

აუდიტის მიგნებები:**1. ფეხბურთის ფედერაცია****1.1 21 წლამდე ფეხბურთელთა 2015-2017 წლების ევროპის ჩემპიონატის
საკვალიფიკაციო ეტაპის დაფინანსება**

უეფას რეგულაციებით³, 21 წლამდე ფეხბურთელთა 2015-2017 წლების ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო გასვლით მატჩებში მონაწილე ასოციაციებს - მგზავრობის, კვებისა და დაბინავების ხარჯების ასანაზღაურებლად, უეფა აფინანსებდა 135,000 ევროს (357,546 ლარი) ოდენობით⁴.

21 წლამდე ფეხბურთელთა 2015-2017 წლების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქეები იყვნენ: ესპანეთი, სან - მარინო, ხორვატია, შვედეთი და ესტონეთი. აქედან, ესპანეთში გასვლითი მატჩის ხარჯები სამინისტროდან ფეხბურთის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ასიგნებიდან არ დაფინანსებულა, ხოლო დანარჩენი ოთხი გასვლითი მატჩი დაფინანსდა სამინისტროს მიერ. ოთხი გასვლითი მატჩის - მგზავრობის, კვებისა და დაბინავების თანხამ შეადგინა 332,320 ლარი, რომელიც უნდა დაფინანსებულიყო ფეხბურთის ფედერაციის მიერ უეფადან გამოყოფილი სახსრებით.

იხ. ცხრილი N3:

		(ლარი)			
N	ხარჯების დასახელება	ოთხი გასვლითი მატჩის მგზავრობის, კვებისა და დაბინავების ფაქტობრივი ხარჯები			
		სან - მარინო	ხორვატია	შვედეთი	ესტონეთი
1.	თვითმფრინავის ბილეთები	40,816	54,876	48,563	40,463
2.	სასტუმროს ხარჯები	44,217	19,456	26,455	49,191
3.	სამგზავრო დაზღვევა			209	
4.	ვიზების საფასური	4,705	3,265		
5.	ბარგის ზედმეტი წონის ხარჯი		103		
ჯამი:		89,738	77,701	75,227	89,654
სულ:			332,320		

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს აუდიტის ჯგუფის მოთხოვნით უნდა წარმოედგინა განმარტება და დოკუმენტები 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების საკვალიფიკაციო შესარჩევი გასვლითი მატჩების ხარჯების უეფას მიერ დაფინანსებასთან დაკავშირებით. სამინისტრომ აუდიტის ჯგუფის მიმართვა გადაუგზავნა ფეხბურთის ფედერაციას⁵.

³ უეფას ევროპული რეგულაციები - ევროპის 21 წლამდე ფეხბურთელთა ჩემპიონატი 2015-2017, თავი XI - „ფინანსური დებულებები“, 56-ე მუხლი - „ფინანსური წესები“, 56-ე მუხლი, 56.04 პუნქტი - მონაწილე ასოციაციებისათვის კეთდება შენატანები გასვლითი მატჩების მოგზაურობის, კვებისა და განთავსების ხარჯების ასანაზღაურებლად.

⁴ მათ შორის, 70,000 ევრო - 2015 წლის 31 დეკემბრისათვის და 65,000 ევრო - 2016 წლის 30 ნოემბრისათვის, ეროვნული ბანკის შესაბამისი კურსით: 183,183 ლარი და 174,363 ლარი, სულ - 357,546 ლარი.

⁵ სამინისტროს 2017 წლის 6 დეკემბრის წერილი N07/3195.

მიღებული პასუხის⁶ თანახმად: „2015 – 2017 წლების ევროპის 21 წლამდე ფეხბურთელთა ჩემპიონატის რეგულაციების შესაბამისად, უფას მიერ გამოყოფილ იქნა კონტრიბუცია გასვლითი მატჩების ხარჯების კომპენსირების მიზნით - 135,000 ევრო. აღნიშნული თანხა ფეხბურთის ფედერაციას არ მიუღია, რადგან ამ პერიოდისათვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ერიცხებოდა წინა ხელმძღვანელობის მიერ აღიარებული დავალიანება უფას მიმართ, რის გამოც მისაღები თანხა უფამ პირდაპირ გაქვითა დავალიანებაში. ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის პერიოდში, ფეხბურთის ფედერაციას ჰქონდა მძიმე ფინანსური მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, საქართველოს 21 წლამდე ნაკრების შესარჩევი შეხვედრებისთვის, რომელიც გაიმართა ესპანეთში, ესპანეთის 21 წლამდე ნაკრების წინააღმდეგ და თბილისში - შვედეთის 21 წლამდე ნაკრების წინააღმდეგ, ფეხბურთის ფედერაციას ღონისძიებების დასაფინანსებლად სამინისტროდან თანხა არ გამოუთხოვია. აღნიშნულ მატჩებში ფეხბურთის ფედერაციამ საკუთარი სახსრებიდან დახარჯა სულ 126,715 ლარი, მათ შორის, გასწია მგზავრობის ხარჯი: თბილისი - მალაგა - თბილისი - 38,962 ლარი და სასტუმროს ხარჯი ესპანეთში - 43,847 ლარი“.

შემდგომ ჩატარდა დამატებითი აუდიტორული პროცედურები, კერძოდ:

- J) 2018 წლის 5 მარტის N02298/13 წერილით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიმართა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს⁷ შემდეგი კითხვებით:
 - o რა არგუმენტებზე დაყრდნობით იქნა მიღებული სამინისტროს მხრიდან ზემოაღნიშნული ღონისძიებების დაფინანსების გადაწყვეტილება.
 - o როდის და რომელი ოპერაციის შედეგად წარმოეშვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დავალიანება უფას მიმართ.
 - o რომელი პირველადი დოკუმენტებით დგინდება ზემოაღნიშნული 135,000 ევროს გაქვითვის ფაქტი.
- J) საპასუხო წერილში (N06/10-1826, 2018 წლის 27 მარტი)⁸ აღნიშნულია, რომ ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის გასვლით საკვალიფიკაციო მატჩებში საქართველოს 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება განხორციელდა წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ასიგნებათა ფარგლებიდან, რომლის მიზნებსა და ამოცანებს სრულად შეესაბამებოდა ზემოთ მითითებულ მატჩებში ნაკრები გუნდის მონაწილეობის უზრუნველყოფა. ასევე აღნიშნულია, ფეხბურთის ფედერაციამ შესაბამისი ინფორმაცია წარმოადგინა 2017 წლის 13 დეკემბრის N1073 წერილით;
- J) საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ იქნა ფეხბურთის ფედერაციიდან მიღებული უფას ელექტრონული წერილი, რომლის თანახმად, ფეხბურთის ფედერაცია დაკრედიტდა 70,000 ევროთი (18.12.2015) და

⁶ სფფ-ის 2017 წლის 13 დეკემბრის წერილი N1073.

⁷ სამინისტროების რეორგანიზაციის შედეგად 2017 წლის დეკემბერში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, სპორტის ნაწილში შეუერთდა კულტურის სამინისტროს, ხოლო ახალგაზრდობის საქმეთა ნაწილში - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

⁸ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი.

65,000 ევროთი (30.11.2016), ხოლო ფეხბურთის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე კონკრეტული გადახდა არ მომხდარა. ასევე ელექტრონულ წერილში აღნიშნულია, რომ ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშზე დარიცხულია 476,367 ევროს დავალიანება, რომელიც უკავშირდება თბილისში, 2015 წლის აგვისტოში გამართულ უეფას სუპერთასის ფინალის საბოლოო ფინანსურ ანგარიშს;

-) საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის ზეპირი განმარტებით, უეფას მხრიდან აღნიშნული კონტრიბუციით ძველი ვალდებულების გაქვითვა შეთანხმებული იყო ფეხბურთის ფედერაციასთან.

ამრიგად, აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, რომ 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების გასვლით საკვალიფიკაციო მატჩებში - მგზავრობის, კვებისა და დაბინავების ხარჯების დაფინანსების მიზნობრიობით ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 332,320 ლარის ოდენობით, არაპირდაპირ მოხმარდა ფეხბურთის ფედერაციის უეფას მიმართ რიცხული გასული პერიოდის დავალიანების დაფარვას, რომლის არსებობისა და წარმოშობის საფუძვლების შესახებ სამინისტრო სათანადოდ დასაბუთებულ ინფორმაციას არ ფლობდა. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატი არ ვრცელდება ფეხბურთის ფედერაციასა და უეფას შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობათა კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლა-შეფასებაზე. შესაბამისად, ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას, შევაფასოთ აღნიშნული დავალიანების სისწორე და რეალობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, აღნიშნული ღონისძიების დაფინანსების სხვა ალტერნატივის არარსებობის შემთხვევაში, მსგავსი მნიშვნელობის ტურნირი უნდა დაფინანსებულყო. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ პირდაპირი დაფინანსების წყარო არსებობდა თანხის გამოყოფის შესახებ, დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი წინაპირობა იქნებოდა უეფას მიერ გამოყოფილი 135,000 ევროს ოდენობით რესურსის არსებობისა და ფედერაციის უეფას მიმართ რიცხული დავალიანების წარმოშობის საფუძვლების შესახებ სამინისტროს ამომწურავი ინფორმირებულობა. ასეთ პირობებში სამინისტროს ექნებოდა შესაძლებლობა მიედო დასაბუთებული რწმუნება დაფინანსების ალტერნატიული წყაროს არარსებობაზე და მხოლოდ აღნიშნული პროცედურების შემდგომ განეხილა წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ასიგნებიდან ფეხბურთის ფედერაციისათვის დროებით, შემდგომი დაბრუნების პირობით ან სხვა წყაროდან (მაგალითად, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან) თანხის გამოყოფის შესაძლებლობა. ამავე დროს, ჩვენი მოსაზრებით, განხორციელებული გზით დაფინანსების გადაწყვეტილება არ შეესაბამება ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ:

-) უეფას რეგულაციებით, 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ნაკრების საკვალიფიკაციო გასვლით მატჩებში - მგზავრობის, კვებისა და დაბინავების ხარჯების ასანაზღაურებლად, უეფადან გამოყოფილი თანხიდან - 135,000 ევროდან ფეხბურთის ფედერაციას უნდა დაეფინანსებინა ხუთი გასვლითი

მატჩის - მგზავრობის, კვებისა და დაბინავების ხარჯები. ფაქტობრივად, ამ მიზნობრიობით, ერთ გასვლით მატჩზე დაიხარჯა ფეხბურთის ფედერაციის 82,809 ლარი, ხოლო ოთხ გასვლით მატჩზე - სამინისტროდან ფედერაციაში გადარიცხული საბიუჯეტო სახსრები 332,320 ლარის ოდენობით. უფასო მიერ გამოყოფილი 135,000 ევრო (357,545 ლარი) გამოყენებულ იქნა ფეხბურთის ფედერაციაზე უფასო მიმართ რიცხული ძველი ვალების დასაფარად. გამომდინარე იქიდან, რომ დაფინანსების პირდაპირი წყარო არსებობდა და იმის გათვალისწინებით, რომ უფადან გამოყოფილი თანხა არ იყო საკმარისი ხუთივე გასვლითი მატჩის დასაფინანსებლად (სხვაობა - 57,584 ლარი), ფეხბურთის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესაძლოა დაფინანსებულიყო მხოლოდ 57,584 ლარი. შესაბამისად, გამოყოფილი 332,320 ლარიდან ბიუჯეტში დაბრუნებას ექვემდებარება - 274,736 ლარი;

- სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც თავიდან აიცილებს მსგავსი შემთხვევების განმეორებას. კერძოდ, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად, სამინისტრომ შეიმუშაოს ფორმალიზებული პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს ყველა რელევანტური ინფორმაციის და დოკუმენტაციის, მათ შორის, დაფინანსების არსებული და ალტერნატიული წყაროების დეტალურ მოკვლევას.

1.2 სატრანსპორტო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები

ფეხბურთის ფედერაციის მიერ მამაკაცთა და ქალთა ეროვნული, ასევე ასაკობრივი ნაკრებების ქ. თბილისში გასამართი შესარჩევი და საერთაშორისო ამხანაგური მატჩების დროს გასაწევი სატრანსპორტო მომსახურება, უმეტეს შემთხვევაში, შესყიდულია ერთი კომპანიისგან⁹. აღნიშნულ კომპანიაზე გადარიცხულმა თანხამ სულ შეადგინა 242,276 ლარი. ფეხბურთის ფედერაციის განმარტებით¹⁰ - სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა ერთი კომპანიიდან, გამოწვეულია გამოკითხვის შედეგად აღნიშნული კომპანიის მიერ სრულყოფილი მომსახურებისა და პირობების შეთავაზებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ფეხბურთის ფედერაციას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით შესყიდვის განხორციელების ვალდებულება არ ჰქონდა. თუმცა, რადგან შესყიდვა ხორციელდება საბიუჯეტო სახსრებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამინისტრომ ფედერაციასთან შეთანხმებით შეიმუშაოს შესყიდვების განხორციელების წესი, რაც უზრუნველყოფს, რომ ფეხბურთის ფედერაციის მიერ სამინისტროსაგან მიღებული საბიუჯეტო სახსრების განკარგვა განხორციელდება კონკურენტულ გარემოში, გამჭვირვალედ და დაცული იქნება ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის პრინციპები.

⁹ შპს „გრაუნდინგური კომპანია თბილისი TBS“.

¹⁰ 2018 წლის 17 აპრილის N288 წერილი.

1.3 ფეხბურთის ფედერაციის მიმართ რიცხული მოთხოვნები

სამინისტროს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ ერიცხება დებიტორული დავალიანება 234,535 ლარის ოდენობით, რომელიც გამოვლენილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტებით.

იხ. ცხრილი N4:

(ლარი)				
ორგანიზაციის დასახელება	დებიტის თანხა	წარმ. თარიღი	წარმოშობის საფუძველი	დადასტურებულია ფეხბურთის ფედერაციის მიერ
ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	83,037	2002	საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტით გამოვლენილი, ფეხბურთის ფედერაციის ღონისძიებების ხარჯების არასრულყოფილი დოკუმენტებით ჩამოწერის შედეგად	დასტურის წერილი N03/607/1, 20.06.2016
ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	151,498	2014	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის შედეგად სტადიონების მშენებლობისათვის ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილი თანხა	დასტურის წერილი N03/607/1, 20.06.2016
ჯამი:	234,535			

აღნიშნული დებიტორული დავალიანებები აღიარებული და დადასტურებულია ფეხბურთის ფედერაციის მიერ. თავის მხრივ, სამინისტროს დებიტორული დავალიანების ამოსაღებად არ გაუტარებია მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესით“ გათვალისწინებული ღონისძიებები¹¹. სამინისტრომ უნდა გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს ბიუჯეტის კუთვნილი თანხების დაბრუნება.

¹¹ მუხლი 7, პუნქტი 4. ფედერაციის მიერ მიღებული თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ღონისძიების დაფინანსებასთან დაკავშირებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება სამართალდამცავ ორგანოებს.

2. ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი:

2.1 ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის და ბიუჯეტის შედგენა-შესრულების ხარვეზები

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის N107 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წლები) სახელმწიფო პროგრამა.

პროგრამის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, 2016-2020 წლებში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი/განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსებისათვის განისაზღვრა თანხა 265,700,000 ლარის ოდენობით. პროგრამის თანახმად, აღნიშნული თანხების მობილიზება და ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდში მიმართვა უნდა მომხდარიყო როგორც ცენტრალური ბიუჯეტიდან, ასევე მუნიციპალიტეტებიდან¹².

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო პროგრამის 2016 წლის დაფინანსების თანხები შესაბამისობაში არ იყო 2016 წლის სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტით აღნიშნული მიზნით განსაზღვრულ ასიგნებებთან და მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტით ფეხბურთის განვითარებისთვის გამოყოფილ თანხებთან.

იხ. ცხრილი N5:

(ლარი)

სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული 2016 წლის ხარჯები სულ	2016 წლის შემოსავლების მოცულობა				
	სულ	მათ შორის:			
		ცენტრალური ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილებით	მთავ. სარეზერვო ფონდი	მუნიცი პალიტეტებიდან მიღებული	კომერციული ბანკიდან აღებული სესხი
40,200,000	28,310,282	160,000	14,800,000	11,350,282	2,000,000

2016 წლის განმავლობაში, დაგეგმილი ხარჯების კორექტირება მობილიზებული საბიუჯეტო სახსრების დონემდე არ განხორციელებულა. შედეგად, ფონდის ბიუჯეტი არ იყო დაბალანსებული და დაგეგმილი ხარჯები აღემატებოდა შემოსავლებს, რომლის ნაწილობრივ დაფარვის მიზნით, 2016 წლის 30 დეკემბერს, კომერციული ბანკიდან აღებულია 2,000,000 ლარის სესხი¹³ მომავალი წლის საბიუჯეტო ასიგნებების უზრუნველყოფით. სესხი და პროცენტი დაიფარა 2017 წლის 9 იანვარს. გადახდილმა სესხის საკომისიომ და პროცენტმა შეადგინა 9,479 ლარი, რაც სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული არ ყოფილა.

¹² მთავრობის დადგენილებით მუნიციპალიტეტებს ეთხოვათ ბიუჯეტში ფეხბურთის მხარდაჭერისათვის გათვალისწინებული თანხიდან 2016 წლის 1 მარტის მდგომარეობით დარჩენილი რესურსი მიემართათ ფონდის ანგარიშზე, მაგრამ არანაკლებ ანალოგიური მიზნისთვის (ფეხბურთისთვის) 2015 წელს ფაქტობრივად დახარჯული თანხებისა.

¹³ სესხის აღება შეთანხმებულია სპორტის სამინისტროსთან (წერილი N07/3661, 29.12.2016) და ფინანსთა სამინისტროსთან (წერილი N04-02/148008, 28.12.2016).

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 ივნისის დადგენილებით¹⁴ ცვლილებები შევიდა 2016 წლის 26 თებერვლის N107 მთავრობის დადგენილებაში. ცვლილებები შეეხო გასული, 2016 წლის დაფინანსების გეგმასაც, კერძოდ, 2016 წლის დაფინანსების საერთო მოცულობა განისაზღვრა 26,126,949 ლარის ოდენობით - ფაქტობრივად მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული და დახარჯული თანხების დონეზე. აღნიშნული, ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ცვლილება არ მოიცავს ფონდის ადმინისტრაციულ და აღებული სესხიდან გაწეულ ხარჯებს.

ცხრილში წარმოდგენილია საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2021 წლები) სახელმწიფო პროგრამა ცვლილების გათვალისწინებით.

იხ. ცხრილი N6:

(ლარი)						
პრიორიტეტები	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.	2020 წ.	2021 წ.
კლუბების საბაზისო დაფინანსება	24,671,014	24,798,768	21,000,000	19,000,000	18,000,000	18,000,000
კლუბების ფინანსური სტიმულირება	1,295,000	3,448,388	7,500,000	9,000,000	10,000,000	10,000,000
კლუბების საპრიზო და პრემიალური ფონდი	150,000	6,752,844	6,000,000	6,000,000	6,000,000	6,000,000
მასობრივი და სხვადასხვა სახის საფეხბურთო ღონისძიებები	10,935	2,000,000	2,500,000	3,000,000	3,000,000	3,000,000
ხარჯების ჯამი წლების მიხედვით	26,126,949	37,000,000	37,000,000	37,000,000	37,000,000	37,000,000
საერთო ჯამი:	211,126,949					

როგორც ცხრილიდან ჩანს, შეიცვალა როგორც პროგრამის განხორციელების პერიოდი, ისე თანხები. ამავე დროს შევიდა შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებაც: კერძოდ, ამოღებულ იქნა „ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები,“ რაც ჯამში შეადგენდა 41,000,000 ლარს.

2017 წლის 9 თვის მონაცემებით, 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის ხარჯები და საბიუჯეტო ასიგნებები არ იყო შესაბამისობაში.

იხ. ცხრილი N7:

(ლარი)				
სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული 2016 წლის ხარჯები სულ	2017 წლის რეალური შემოსავლების მოცულობა			
	სულ	მათ შორის:		
		ცენტრალური ბიუჯეტის ასიგნებები	მთავრობის სარეზერვო ფონდი	მუნიციპალიტეტებიდან ¹⁵
37,000,000	35,238,336	30,200,000	5,000,000	38,336

უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის სახელმწიფო პროგრამით დასაფინანსებელი პრიორიტეტების თანხებში გაწერილია სესხის დასაფარი თანხებიც. სესხის და პროცენტების დაფარვა არ წარმოადგენს ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ხარჯს.

¹⁴ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 ივნისის N268 დადგენილება.

¹⁵ მათ შორის: 21,459 ლარი - 2017 წლის დასაწყისში, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული თანხების ანგარიშზე რიცხული ნაშთი, ხოლო 16,877 ლარი - 2017 წლის 9 თვეში ჩარიცხული თანხა, 1 ოქტომბრისთვის მუნიციპალიტეტებიდან მიღებული თანხების ანგარიშზე.

იხ. ცხრილი N8:

პრიორიტეტები	2017 წ.	(ლარი)
		მათ შორის, სესხის დასაფარად
კლუბების საბაზისო დაფინანსება	24,798,768	798,768
კლუბების ფინანსური სტიმულირება	3,448,388	752,844
კლუბების საპრიზო და პრემიალური ფონდი	6,752,844	448,388
მასობრივი და სხვადასხვა სახის საფეხბურთო ღონისძიებები	2,000,000	
ჯამი:	37,000,000	2,000,000

2.2 ფონდსა და საფეხბურთო კლუბებს შორის პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ხარვეზები

გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

- 2017 წლის 5 ივლისამდე არ არსებობდა გაწერილი კრიტერიუმი¹⁶, რა პრინციპით, პროპორციით და მოცულობით უნდა გაცემულიყო კლუბებზე ფინანსური სტიმულირების თანხები. არარსებული რეგულაციის პირობებში, კლუბებზე ფინანსური სტიმულირების სახით გაცემულია 3,804,367 ლარი;
- საბაზისო დაფინანსებასა და ხელშეკრულებებში არ არის გაწერილი, რა ოდენობის თანხა უნდა იყოს მიმართული შრომის ანაზღაურებაზე. გარდა ამისა, არ არის განსაზღვრული სხვადასხვა ხარჯის ზღვრული ნორმებიც. კერძოდ, რა ოდენობის თანხა უნდა მოხმარდეს მივლინებებს, შეკრებებს, სპორტულ ეკიპირებას და სხვა ხარჯებს.
- არ არის შემუშავებული კლუბების საჭიროებისათვის ერთიანი შესყიდვების პოლიტიკა, როგორც ფონდის საპროგრამო პრეზენტაციაშია ეს გაცხადებული.

2.3 ფონდის ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურების შესაბამისობები

ფონდში ხელფასებზე, სარგოს სახით სულ დარიცხული და გაცემულია 283,500 ლარი. მათ შორის, 2016 წელს (მარტი - დეკემბერი) - 148,750 ლარი, ხოლო 2017 წელს (იანვარ - სექტემბერი) - 135,000 ლარი.

ფონდში თანამდებობრივი სარგოების გაცემისას არ არის დაცული საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის¹⁷ და 2016 და 2017 წლების ბიუჯეტის შესახებ კანონის მოთხოვნები^{18,19}. კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობრივ სარგოს, ხოლო შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო თანამდებობრივი სარგო - 1,500 ლარს. ფონდი არ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მაგრამ საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, არასამეწარმეო

¹⁶ „კლუბების ფინანსური სტიმულირების კრიტერიუმები 2017 წლის საფეხბურთო ჩემპიონატისათვის“ დადგენილი ფონდის დირექტორის და ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის 2017 წლის 5 ივლისის შეთანხმებით.

¹⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁸ „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლი.

¹⁹ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლი.

(არაკომერციული) იურიდიული პირების საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე ვრცელდება ამ კოდექსით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის განსაზღვრული რეგულაციები, მათ შორის, ბიუჯეტის, სახელფასო ნუსხისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრა.

ფონდში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებული თანამშრომლების საშუალო თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 3,000 ლარს, რაც 2-ჯერ აღემატება კანონით განსაზღვრულს. ამასთანავე, ფონდის დირექტორის თვითური თანამდებობრივი სარგო შეადგენს 6,250 ლარს, მაშინ როდესაც, ის არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობრივ სარგოს - 2,950 ლარს²⁰.

აღნიშნული შეუსაბამოებით შედგენილი საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი შეთანხმებული იყო მინისტრთან და დამტკიცებული იყო ფონდის გამგეობის მიერ²¹, რომელიც საკმაოდ წარმომადგენლობითი ორგანოა²². მიუხედავად ამისა, „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საკითხი, როგორც გამონაკლისი, საჭიროებდა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას²³, რაც არ მომხდარა.


შედეგად, 2016 წელს და 2017 წლის 9 თვეში, „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის დარღვევით ბიუჯეტიდან გაწეულია სულ - 135,250 ლარის ხარჯი, მათ შორის - ფონდის დირექტორზე - 62,700 ლარი.

აღსანიშნავია, რომ ფონდის 2018 წლის 16 აპრილის N 1604-01 წერილის თანახმად 2018 წლის 1 იანვრიდან, ფონდის შრომის ანაზღაურების საკითხი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

თარიღი

გურამ ყავლაშვილი, წამყვანი აუდიტორი - ჯგუფის უფროსი
თეიმურაზ გოდუაძე, უფროსი აუდიტორი
შალვა ჯავახიშვილი, უფროსი აუდიტორი
გიორგი მურვანიძე, აუდიტორ-ასისტენტი

ხელმოწერა



²⁰ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობრივი სარგო აუდიტის პერიოდში (2016 წელი და 2017 წლის 9 თვე).

²¹ 2016 წლის 7 მარტის ფონდის გამგეობის სხდომის (ოქმი N1) გადაწყვეტილება; მინისტრის 2016 წლის 30 მარტის N07/850 წერილი.

²² ფონდის გამგეობა შედგება 6 წევრისგან:

- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, გამგეობის თავმჯდომარე;

- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე;

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, გამგეობის წევრი;

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, გამგეობის წევრი;

- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, გამგეობის წევრი;

- ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, გამგეობის წევრი.

²³ საქართველოს 2016 და 2017 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

დანართი: კლუბების საბაზისო, საპრიზო - პრემიალური და ფინანსური სტიმულირების დაფინანსებისთვის ფონდის გამგეობის მიერ დადგენილი ნორმები

1. კლუბების საბაზისო დაფინანსება

ფონდის 2016 წლის 7 მარტის გამგეობის N1 სხდომის შესაბამისად, კლუბების საბაზისო დაფინანსების მოცულობა განსაზღვრული იყო იმის მიხედვით, ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რომელ ლიგაში იღებდა მონაწილეობას საფეხბურთო კლუბი. 2016 წელს გაიმართა ორი ჩემპიონატი: დასრულდა 2015-2016 წლის გათამაშება და 2016 წლის ივლისიდან ჩატარდა ე.წ. „გარდამავალი ჩემპიონატი“.

1.1 საბაზისო დაფინანსება - 2015-2016 წლის სეზონის II წრე:

1. უმაღლესი ლიგა - 800 000 ლარი. (16 კლუბი)
2. პირველი ლიგა - 300 000 ლარი. (18 კლუბი)
3. მეორე ლიგა - 50 000 ლარი. (42 კლუბი)

1.2 საბაზისო დაფინანსება - 2016 წლის გარდამავალი ჩემპიონატი

1. უმაღლესი ლიგა - 600 000 ლარი. (14 კლუბი)
2. პირველი ლიგა - 200 000 ლარი. (19 კლუბი)
3. მეორე ლიგა - საბაზისო - 50 000 ლარი. (40 კლუბი)

იმ შემთხვევაში, როდესაც კლუბებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტიდან ან/და თვითმმართველი მუნიციპალური ერთეულებიდან 2016 წელს მიღებული ჰქონდათ დაფინანსება, აღნიშნული თანხა აკლდებოდა პროგრამით დასაფინანსებელი საბაზისო თანხის მოცულობას.

ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის 2017 წლის 3 იანვრის გამგეობის N5 სხდომის შესაბამისად, ფონდი კლუბებს საბაზისო პროგრამით აფინანსებდა შემდეგი თანხებით:

1.3 საბაზისო დაფინანსება - 2017 წლის ჩემპიონატი

1. ეროვნული ლიგა 1 - 1 000 000 ლარი. (10 კლუბი)
2. ეროვნული ლიგა 2 - 700 000 ლარი. (10 კლუბი)
3. ეროვნული ლიგა 3 - 250 000 ლარი. (10+10 კლუბი)
4. რეგიონალური ლიგა - 50 000 ლარი. (40 კლუბი)

საბაზისო დაფინანსება მოიცავს კლუბების ფუნქციონირებისათვის ყველა იმ ხარჯს, რომელიც საჭიროა კლუბის ფუნქციონირებისათვის: ფეხბურთელების, მწვრთნელების და ადმინისტრაციის თანამშრომლების ხელფასები, ფეხბურთის ფედერაციის საწევრო გადასახადი, სამივლინებო, კვების, საოფისე, ეკიპირების, სამედიცინო და სხვა ხარჯები.

2. პრემიალური და საპრიზო თანხები

2.1 საპრიზო თანხები:

2.1.1 2016 წლის საპრიზო ფონდი

2016 წელს საპრიზო ფონდი განსაზღვრული იყო კლუბის მიერ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში დაკავებული საპრიზო ადგილებისთვის, დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშებაში გამარჯვებულისა და ფინალისტისთვის, აგრეთვე „სუპერთასის“ გათამაშების გამარჯვებულისათვის. პროგრამის შესაბამისად, კლუბებისთვის საპრიზოდ განისაზღვრა თანხები შემდეგი ოდენობით:

უმაღლესი ლიგა - 2016 წლის გარდამავალი ჩემპიონატი:

- ┌ ჩემპიონატის საპრიზო I ადგილი - 300 000 ლარი;
- ┌ ჩემპიონატის საპრიზო II ადგილი - 200 000 ლარი;
- ┌ ჩემპიონატის საპრიზო III ადგილი - 100 000 ლარი.

2016 წლის თასი:

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშება

- ┌ თასის გამარჯვებული - 100 000 ლარი;
- ┌ ფინალისტი - 50,000 ლარი.

2016 წლის „სუპერთასი“:

- ┌ გამარჯვებული - 50 000 ლარი.

2.1.2 2017 წლის საპრიზო ფონდი

2017 წელს საპრიზო ფონდი განსაზღვრულია კლუბის მიერ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საპრიზო ადგილების პრემირებისთვის, დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშებაში 1/16 ფინალიდან გუნდებისა და გამარჯვებულის შესაბამისი საპრიზო თანხის, ასევე „სუპერთასის“ გათამაშების გამარჯვებულის შესაბამისი ფულადი პრემიისთვის. პროგრამის თანახმად, ფონდში კლუბების საპრიზოდ გათვალისწინებულ იქნა თანხები შემდეგი ოდენობით:

2017 წლის ჩემპიონატი:

ეროვნული ლიგა 1

- ┌ ჩემპიონატის საპრიზო I ადგილისათვის - 300 000 ლარი;
- ┌ ჩემპიონატის საპრიზო II ადგილისათვის - 200 000 ლარი;
- ┌ ჩემპიონატის საპრიზო III ადგილისათვის - 100 000 ლარი.

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშება, 1/16 ფინალს განვლილი ყოველი ეტაპისთვის:

-) თითოეული ეტაპი - 10 000 ლარი;
-) გამარჯვებული - 60,000 ლარი.

„სუპერთასი“:

-) გამარჯვებული - 50 000 ლარი.

2.2 პრემიალური ფონდი:

2017 წლიდან საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ამოქმედდა კლუბების პრემიალური თანხების ახალი სისტემა, რაც გულისხმობს „ეროვნულ ლიგა 1-სა“ და „ეროვნულ ლიგა 2-ში“ მოგებასა და ფრეზე დამატებითი პრემიალური თანხების გაცემას. პროგრამის შესაბამისად, ფონდის მიერ კლუბების პრემიალური წახალისება გათვალისწინებულია შემდეგი ოდენობით:

-) „ეროვნული ლიგა 1“ - 2017 წლის ჩემპიონატი: მოგება - 20 000 ლარი, ფრე - 6 500 ლარი;
-) „ეროვნული ლიგა 2“ – 2017 წლის ჩემპიონატი: მოგება - 10 000 ლარი, ფრე - 3 300 ლარი.

3. კლუბების ფინანსური სტიმულირება

პროგრამის ერთ-ერთ კომპონენტს შეადგენდა კლუბების ფინანსური სტიმულირება. პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტის თანახმად, სტიმულირებისათვის 2016-2017 წლებში განსაზღვრული იყო 10,900,000 ლარი, საიდანაც 2016 წელს გამოყოფილი თანხა - 1,900,000 ლარის ოდენობით ათვისებულია სრულად. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 ივნისის N268 დადგენილებით შეიცვალა პროგრამით კლუბების ფინანსური სტიმულირებისათვის გამოყოფილი თანხა და შეადგინა 3,448,388 ლარი, ნაცვლად თავდაპირველად განსაზღვრული 9,000,000 ლარისა, საიდანაც 2017 წლის 9 თვის მდგომარეობით ათვისებულია 2,468,367 ლარი.

2017 წლის 5 ივლისს ფონდისა და ფეხბურთის ფედერაციის მიერ შემუშავებულია დოკუმენტი „საქართველოს მთავრობის N107 დადგენილების, საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის, კლუბების ფინანსური სტიმულირების კრიტერიუმები 2017 წლის საფეხბურთო ჩემპიონატისათვის“, რომლის მიხედვით, ფინანსური სტიმულირების კალათა გულისხმობს კლუბში დამატებით მოზიდული და კლუბის ადმინისტრირებისათვის დახარჯული თანხების წახალისებას.

მოზიდულ სახსრებად ითვლება:

-) საწესდებო კაპიტალის ზრდა (გარდა, მუნიციპალური კლუბებისა);
-) სასპონსორო, სარეკლამო და შემოწირულების შედეგად მიღებული სახსრები;

-) კლუბის საკუთრებაში არსებული ფეხბურთელის რეალიზაციიდან/იჯარიდან მიღებული შემოსავალი.

მოზიდული სახსრები უნდა დაიხარჯოს კლუბის ადმინისტრირების ხარჯისათვის, კერძოდ:

-) გუნდის ადმინისტრირება, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, პრემია, მივლინება, ოფისის ხარჯი, წარმომადგენლობითი ხარჯი, კვების ხარჯი, სამედიცინო ხარჯი, რბილი ინვენტარის, ეკიპირების, სტადიონის ინვენტარისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯი, ტრანსპორტის, ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი, ბანკის საკომისიო, ფედერაციის და ლიცენზირების ხარჯი, აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი, მატჩის ორგანიზების ხარჯი, იჯარა, სარემონტო სამუშაოების, სარეკლამო ხარჯი, სატრანსფერო ხარჯი;
-) ინფრასტრუქტურის განვითარება;
-) საბანკო სესხი, რომელიც აღებულია პროგრამის ამოქმედების შემდგომ და მოხმარებულია გუნდის ადმინისტრირებაზე და კლუბის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

3.1 2016 წელს, პროგრამის შესაბამისად, კლუბების ფინანსური სტიმულების მიზნით, გათვალისწინებული იყო შემდეგი თანხები:

2015-2016 წლის სეზონის II წრე:

-) უმაღლესი ლიგა - 400 000 ლარი;
-) პირველი ლიგა - 50 000 ლარი.

2016 წლის გარდამავალი ჩემპიონატი:

-) უმაღლესი ლიგა - 300 000 ლარი;
-) პირველი ლიგა - 50 000 ლარი.

3.2 2017 წელს კლუბების ფინანსური სტიმულირების ზემოაღნიშნული ნორმები შეიცვალა და გათვალისწინებულ იქნა შემდეგი თანხები:

ეროვნული ლიგა - 500 000 ლარი;

-) ეროვნული ლიგა 2 - 300 000 ლარი;
-) ეროვნული ლიგა 3 - 50 000 ლარი.

